



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

თარიღი: 09 სექტემბერი, 2021

სხდომის დაწყების დრო: 18:00 საათი

ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ 11.

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, გიორგი თევზაძე, ციცინო ცხვედიანი, ირაკლი ყანდაშვილი, მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ნანა ტყაბლაძის, კობა უსტარაშვილის, გიორგი მოსაშვილის, დალი მოწყობილის და თამარ იაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნანა ტყაბლაძის, კობა უსტარაშვილის, გიორგი მოსაშვილის, დალი მოწყობილის და თამარ იაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ქეთევან უზნაძის, ელენე ჩხეიძის, ნატრული აკობიას და ალექსანდრე ჭაბუკიანის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3 - თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ქეთევან უზნაძის, ელენე ჩხეიძის, ნატრული აკობიას და ალექსანდრე ჭაბუკიანის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ სოსო ჯღარკავას, ნანა ბიბილურის, პაპუნა სანდუხაძის, მარიამ დარისპანაშვილის, მადინა თვაურის, თამარ თაქთაქიშვილის, მერაბ ბურჭულაძის, ლეილა თავამაიშვილის, თემურ გულიაშვილის, კობა ესაძის და შოთა იაგანაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს სოსო ჯღარკავას, ნანა ბიბილურის, პაპუნა სანდუხაძის, მარიამ

დარისპანაშვილის, მადინა თვაურის, თამარ თაქთაქიშვილის, მერაბ ბურჭულაძის, ლეილა თავამაიშვილის, თემურ გულიაშვილის, კობა ესაძის და შოთა იაგანაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ქეთევან უზნაძის, ელენე ჩხეიძის, ნატრული აკობიას, ალექსანდრე ჭაბუკიანის, ლევან ცალუღელაშვილის და გიორგი გამხიტაშვილის განცხადებების წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ქეთევან უზნაძის, ელენე ჩხეიძის, ნატრული აკობიას, ალექსანდრე ჭაბუკიანის, ლევან ცალუღელაშვილის და გიორგი გამხიტაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. წევრობის შეწყვეტის შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ გიორგი დარჩიას განცხადებას საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21³ მუხლის, 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეწყვეტის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ პირობას იღებს ცნობად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული გიორგი დარჩიას (სიითი #3642) განცხადება წევრობის შეწყვეტის შესახებ. შესაბამისი ცვლილება შევიდეს ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

საკითხი 5. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ თამარ წერეთლის და სანდრო სამადბეგიშვილის განცხადებებს,

ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად თამარ წერეთლის და სანდრო სამადბეგიშვილის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 6. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის მონაწილეთა განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის მონაწილეების: ბეჟან ბადაშვილის, ბაკურ ჩიქოვანის, აკაკი ავალიშვილის, თამარ ვაჩაძის და გეგა ბატიაშვილი-აბულაძის განცხადებებს სხვადასხვა საფუძვლის მითითებით, გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ როგორც პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ზედამხედველობაზე უფლებამოსილი ორგანო, აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია ინდივიდუალურად განიხილოს წინამდებარე განცხადებები და მითითებული გარემოებების შეფასების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება გაცდენული საათების საპატიოდ ჩათვლის თუ გაცდენილი საათების აღდგენის შესაძლებლობის მიცემის თაობაზე.

შესაბამისად, საბჭოს წევრები სათითაოდ გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

ბაკურ ჩიქოვანის, ბეჟან ბადაშვილის, აკაკი ავალიშვილის, თამარ ვაჩაძის და გეგა ბატიაშვილი-აბულაძის განცხადებები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, განცმხადებლებს მიეცეთ შესაძლებლობა მათ მიერ გაცდენილი თეორიული კურსის საათები აღადგინონ 2021 წლის საშემოდგომო ნაკადზე, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების პარარელურად.

საკითხი 7. 2021 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების საგამოცდო პროგრამის დამტკიცება.

წევრები გაეცნენ 2021 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების საგამოცდო პროგრამას. მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს 2021 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების საგამოცდო პროგრამა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი #1).

საკითხი 8. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადის განსაზღვრის საკითხის განხილვა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2018 წლის 7 დეკემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ახალი დიზაინის საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის დამტკიცების თაობაზე, დღევანდელი მდგომარეობით, ასოციაციის მოქმედი სტატუსის მქონე წევრთა უმეტესობამ შეცვალა ძველი მოწმობა, თუმცა დარჩა წევრების მცირე რაოდენობა, რომლებიც ამჟამად მომართავენ ასოციაციას მოწმობის შეცვლის მოთხოვნით.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 1-ლი ივლისის გადაწყვეტილებით, ძველი მოწმობის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2021 წლის 13 სექტემბრამდე. დღევანდელი მდგომარეობით, ასოციაციის მიმართ მოწმობის შეცვლის მოთხოვნით მომართვიანობა აქტიურად მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ განახლებული და ვალიდური მოწმობა ჰქონდეს ყველა მოქმედ ადვოკატს, რათა ისინი პროფესიული საქმიანობის პროცესში არ შეფერხდნენ. ამდენად, მიზანშეწონილია, საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა გაგრძელდეს გარკვეული პერიოდით და საბოლოო ვადად განისაზღვროს - 2021 წლის 1-ლი ნოემბერი.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი დიზაინის მოწმობის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1-ელ ნოემბრამდე. მანამდე კი ძალაში იქნება მოწმობის ორივე ნიმუში;
2. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოთ ადვოკატთა ასოციაციის იმ წევრებს, რომელთაც არ აქვთ გამოცვლილი ძველი დიზაინის მოწმობები.
3. აღნიშნულის შესახებ წერილობით ეცნობოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას.

საკითხი 9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების გაცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, ირაკლი მარგველაშვილისთვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების 58-ე კითხვაზე 1 (ერთი) ქულის მომატების თაობაზე.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებას, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, 2021 წლის 04, 05, 09, 10, 11 და 12 მარტს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შესული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2021 წლის 07 აპრილის სხდომის ოქმი #1 იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ირაკლი მარგველაშვილის საჩივარი ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების 58-ე კითხვასთან დაკავშირებით ქულის მომატების მოთხოვნაზე და ადვოკატთა ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა ირაკლი მარგველაშვილისთვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების 58-ე კითხვაზე 1 (ერთი) ქულის მომატებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ირაკლი მარგველაშვილს ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების #58-ე კითხვაზე მოემატოს 1 (ერთი) ქულა.

- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ირაკლი მარგველაშვილს აუნაზღაურდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

საკითხი 10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების თაობაზე შემუშავებული ინსტრუქციის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასოციაციის მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის სამუშაო ჯგუფის, ასოციაციის აპარატის, USAID/PROLoG-ის ექსპერტის ჩართულობით და უშუალოდ მისი მონაწილეობით, შემუშავდა ინსტრუქცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების და კანდიდატთა გასაუბრებისას დასასმელი კითხვების თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის სრულყოფილად გასაცნობად მათ ესაჭიროებათ დამატებითი დრო. შესაბამისად, თავმჯდომარემ დააყენა წინადადება აღნიშნული დოკუმენტის განხილვის გადადების თაობაზე აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომისთვის.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება გადაიდოს აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომისთვის.

საკითხი 11. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) ირაკლი ბოლქვაძის განცხადებას ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებზე რეგისტრაციის თანხის გადახდისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ მიზანშეწონილია აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდოს და მისი განხილვა განახლდეს მოგვიანებით, სხვა მსგავს განცხადებებთან ერთად. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან.

(ბ) თეიმურაზ სვანიძის განცხადებას ასოციაციის წევრად აღდგენის შესახებ.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მან 2003 წელს ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირება. ჩაბარების პერიოდში, 2006 წლამდე იგი მუშაობდა საქართველოს შსს სისტემაში, ხოლო 2006-2021 წლებში კი ახორციელებდა მოსამართლის უფლებამოსილებას ქ. ტყიბულსა და ქ. ქუთაისში.

განცხადებელს თან ერთვის 2005 წლის 3 თებერვლით დათარიღებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემული თეიმურაზ სვანიძის საბუთების მიღების ხელწერილის ასლი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 6 აგვისტოს გაცემული ცნობა 2006-2020 წლებში თ. სვანიძის მიერ მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების შესახებ და საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ გაცემული სერტიფიკატის ასლი, 2003 წლის 8 ნოემბერს თეიმურაზ სვანიძის მიერ ადვოკატთა საერთო ტესტირების ჩაბარების შესახებ.

თ. სვანიძე განცხადებაში აღნიშნავდა, რომ 2005 წლის 3 თებერვალს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გადაიგზავნა საბუთები მისთვის ასოციაციის წევრის სტატუსის მინიჭების და წევრობის შეჩერების შესახებ, რადგან იმ პერიოდში იგი მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

აპარატის მხრიდან წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ თეიმურაზ სვანიძე არ ირიცხებოდა ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში და ამასთან, მისი პირადი საქმე არ იძებნება ასოციაციის წევრთა პირადი საქმეების არქივში.

წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემული #1176 ხელწერილით დასტურდებოდა, რომ 2005 წლის 3 თებერვალს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო თეიმურაზ სვანიძის მიერ წარმოდგენილი შემდეგი საბუთები: 1. განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ; 2. იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟის დამადასტურებელი საბუთი; 3. ცნობა ნასამართლობის შესახებ, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტებით არ დასტურდება არც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სადამფუძნებლო საერთო კრებაში განმცხადებლის მონაწილეობისა და არც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ თეიმურაზ სვანიძის გაწევრიანებისა და წევრობის შეჩერების თაობაზე განცხადების და თანდართული საბუთების ასოციაციაში გადაგზავნის ფაქტი, როგორც ეს აღნიშნული იყო თეიმურაზ სვანიძის განცხადებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ თეიმურაზ სვანიძე არ ირიცხება ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში, ასევე, ასოციაციის წევრთა პირადი საქმეების არქივში არ იძებნება მისი პირადი საქმე, აღმასრულებელი

საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს წევრად აღდგენის თაობაზე განმცხადებლის მოთხოვნა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს თეიმურაზ სვანიძის განცხადება ასოციაციის წევრობის აღდგენის თაობაზე;
2. განმცხადებელს განემარტოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესახებ.

(გ) პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის მონაწილეების: დავით ლოლაძის და დავით თედორაძის განცხადებებს კურსის საფასურის გადახდის გადავადების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-14 მუხლის, 14.3 პუნქტის თანახმად, ადაპტაციის პროგრამის მონაწილის მომართვის საფუძველზე, თეორიული კურსის საფასურის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, სწავლების 3 თვეზე გადანაწილებით. თუმცა, ქვეყანაში კოვიდ-19 ის პანდემიით გამოწვეული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ განმცხადებლებს დარჩენილი კურსის საფასურის დასაფარად მიეცეთ ერთიანი დამატებითი ვადა - ერთწლიანი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე 9 თვიანი სტაჟირების დასრულებამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. დაკმაყოფილდეს დავით ლოლაძის და დავით თედორაძის განცხადებები, თეორიული კურსის დარჩენილი საფასურის გადავადების შესახებ.
2. აღნიშნულ განმცხადებლებს თეორიული კურსის დარჩენილი საფასურის გადახდა გადაუვადდეთ ერთწლიანი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე 9 თვიანი სტაჟირების დასრულებამდე.
3. აღნიშნული გადაწყვეტილების მონიტორინგი დაევალოს ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(დ) ნინო გელაჭეიშვილის განცხადებას სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო გელაჭეიშვილის განცხადება და ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე